

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

პროექტი მიღების მიზეზია აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში), გარდა სახელოვნებო მაგისტრატურისა და რეზიდენტურისა, სტუდენტისთვის სახელმწიფო დაფინანსებისა და მაგისტრანტობის კანდიდატის მიღების წესის დარეგულირების აუცილებლობა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში სტუდენტის ჩარიცხვისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის საკითხების დარეგულირება.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებით ახალი რეგულაციებისა და ტერმინების შემოღებას.

კანონპროექტით აგრეთვე განისაზღვრა, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება განსაზღვროს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობები. დადგინდა, რომ საქართველოს განათლებსა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშავოს მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების პროცესს და მაგისტრატურაში სტუდენტთა დაფინანსებას საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის პრიორიტეტული საგანმანათლებლო მიმართულებების მიხედვით.

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სავალდებულო არ არის საერთო სამაგისტრო გამოცდების ქსელში გაერთიანება. კერძოდ, კერძო სამართლის იურიდიულ პირს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს არ გაერთიანდეს ზემოაღნიშნულ ქსელში და შესაბამისად, არ მიიღებს სახელმწიფოდან დაფინანსებას. პროექტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საერთო სამაგისტრო გამოცდების ქსელში გაერთიანება სავალდებულოა.

კანონპროექტის თანახმად, საერთო სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში ჩასარიცხად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს

სამაგისტრო გამოცდები: საერთო სამაგისტრო გამოცდა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები. საერთო სამაგისტრო გამოცდას ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გამოცდების ეროვნული ცენტრი, რაც მაგისტრანტისთვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის საფუძველია. ხოლო სხვა გამოცდა/გამოცდები ტარდება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლის გაგრძელება სურს მაგისტრანტობის კანდიდატს.

პროექტის თანახმად, საერთო სამაგისტრო გამოცდების ქსელში გაერთიანებული აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიანიჭოს ან არ მიანიჭოს კოეფიციენტები საერთო სამაგისტრო გამოცდის ცალკეულ ნაწილებს, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში. აგრეთვე ვალდებულია ფაკულტეტის წარდგინებით დაამტკიცოს მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

კანონპროექტის თანახმად, მაგისტრანტობის კანდიდატი დაფინანსებას მოიპოვებს სამი კრიტერიუმის მიხედვით: საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქულით/ქულების რანჟირების მიხედვით ან თითოეული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებებისა ან/და პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების მიხედვით საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგად მიღებული აბსოლუტური ქულით/ქულების რანჟირების თანახმად. თითოეული ამ კრიტერიუმისთვის საქართველოს მთავრობის მიერ მაგისტრატურის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის საერთო მოცულობიდან, საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს თითოეული ამ კრიტერიუმისთვის მინიჭებულ პროცენტულ მაჩვენებელს.

კანონპროექტის შესაბამისად, მაგისტრანტს უფლება აქვს გადავიდეს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანა. აგრეთვე სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების, მათ შორის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაიტანოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას, თუ სწავლას გააგრძელებს იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე ან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე.

კანონპროექტით განისაზღვრა საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების განხორციელებისა და დაფინანსების განსხვავებული წესი და პირობები.

აგრეთვე კანონპროექტით დადგინდა, რომ 2009 წელს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საერთო სამაგისტრო გამოცდებამდე ჩაატაროს მაგისტრანტობის კანდიდატისთვის განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება საჭიროებს დამატებითი თანხების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღებას ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს. თანხის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტით დადგინდა, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის დაწესებულია საფასური.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);**

კანონპროექტის თანახმად, საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის დაწესებულია საფასურის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს

